ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №20

ქ.თბილისი

19 თებერვალი 2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, ს[1] ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული **შესყიდვის** კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად

ერთის მხრივ ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება" (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N103), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ირინე შენგელიას სახით, (შემდგომში "შემსყიდველი"),

და მეორეს მხრივ,

შპს „ემ ეფ ჯეი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ კერვალიშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი")

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას **ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ საქონლის** გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვაზე, შემდეგ თანხაზე **162 (ასსამოცდაორი) ლარი (დღგ-ს გათვალისწინებით),** შემდგომში ("ხელშეკრულების ღირებულება").

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.2. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, **რომელმაც** გაფორმა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახელმწიფო **შესყიდვის** შესახებ;

2.3. "ხელშეკრულება სახელმწიფო **შესყიდვის** შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს **შორის** დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:

2.3.1. ფასების ცხრილი (დანართი №1).

2.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს **დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონელი** (შემდგომში "საქონელი"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის CPV კოდი მითითებულია დანართ N1-ში.

3.3. მისაწოდებელი საქონლის დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფასების ცხრილის შესაბამისად (დანართი №1).

3.4. შესყიდვის ობიექტი შეფუთული უნდა იყოს ქარხნული წესით ისე, რომ დაცული იყოს გარემო ზემოქმედებისაგან, გარდა იმ პროდუქციისა, რომლის შეფუთვაც შეუძლებელია ქარხნული წესით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: თეიმურაზ მაკარიძე, პირადი **ნომერი 21001005828** (შემდგომში "ინსპექტირების ჯგუფი").

4.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

4.3.1. გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;

4.3.2. დაადგინოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

4.3.3. გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

5. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5.2. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯით;

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"

ირინე შენგელია
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

"მიმწოდებელი"
შპს „ემ ეფ ჯეი"

ზურაბ კერვალიშვილი
დირექტორი

ქ.თბილისი 19 თებერვალი 2018 წელი

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

6.4. საქონლის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე.

6.5. საქონლის (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 9.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

7.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

8.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

8.1.3. 8.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

8.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

8.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

8.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: მიწოდების გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

9.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

9.4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

9.4.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 9.4.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

9.4.3. ხელშეკრულების 9.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"

ირინე შენგელია
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

"მიმწოდებელი"
შპს „ემ ეფ ჯეი"

ზურაბ კერვალიშვილი
დირექტორი

ქ.თბილისი 19 თებერვალი 2018 წელი

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას იმით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დაზოგავენი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარე ებთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 თებერვლამდე.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"
ს/კ: 402 036 998
სახაზინო კოდი-TRESGE22
მიმღების ანგარიში -GE24NB0330100200165022

"მიმწოდებელი"
შპს „ემ ეფ ჯეი"
ბანკის დასახელება: სს „ბაზის ბანკი"
ა/ა № GE38BS 0000 0000 7483 6822
საიდენტიფიკაციო კოდი: 405103454
ტელ: 2940000

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"

ირინე შენგელია
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

"მიმწოდებელი"
შპს „ემ ეფ ჯეი"

ზურაბ კერვალიშვილი
დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №20

ქ.თბილისი

19 თებერვალი 2018 წელი

დანართი №1

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზ.	რაოდ	ერთ. ფასი	ჯამური თანხა
1	39298200	სასურათე ჩარჩო 65,5*99სმ	ცალი	1	70	70
2	39298200	სასურათე ჩარჩო 84*67სმ	ცალი	1	63	63
3	39298200	სასურათე ჩარჩო 63*18სმ	ცალი	1	29	29
		სულ თანხა დღგ-ს გათვალისწინებით				162

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"

ირინე შეზელია
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

"მიმწოდებელი"
შპს „ემ ეფ ჯეი"

ზურაბ კერვალიშვილი
დირექტორი